პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N

--- ---- 2017 წელი

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N39 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ევროკავშირის პროექტის - „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 6447 (ექვსი ათას ოთხასორმოცდაშვიდი) ევროს ოდენობის გრანტის მიღებაზე ნებართვის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას, აგრეთვე განახორციელოს გრანტის მისაღებად საჭირო შესაბამისი პროცედურები.“.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე